ოქმი:ო135. 13525150001
თარიღი:30/05/2025

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-5

დ. მესტია 30.05. 2025წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, დ. გვიჩიანი, ვ. ჭკადუა, ზ. ჯაფარიძე, თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, ლ. პაკელიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი. მ. გოშუანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u>

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u>გ. დადვანი, დ. ჯაფარიძე, გ. გელოვანი, ზ. ფალიანი, ზ. ხარძიანი, ვ, ფილფანი. შ. ცინდელიანი, შ. რატიანი, მ .გელოვანი. მ.რატიანი, ლ. ქალდანი. შ. გულედანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნ. უშხვანი; ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის ხელმძღვანელი ი. მიქიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკის უფროსის თანაშემწე ნ. შუკვანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.
სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 32 წევრიდან 20 წევრი.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ".

/მომხსენებელი: ნ. უშხვანი; თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკის ანგარიში 2024

წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ”.

/მომხსენებელი:მ. ნაკანი; თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

3. ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4

ნაწილის „ა’’ ქვეპუნქტით (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული

სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 აპრილის №7დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

/მომხსენებელი: ი. მიქიანი; თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

4. ,,საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის,

გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე”.

/მომხსენებელი: ი. მიქიანი; თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის

სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ”.

/მომხსენებელი: ი. მიქიანი; თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

6. ,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი

დებულების დამტკიცების შესახებ”.

/მომხსენებელი: მ. ხორგუანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------20

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-135. 135251501 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ნ. უშხვანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ”.

მომხსენებელმა პროექტის განხილვა დაიწყო ბიუჯეტის შემოსავლებით, მიმდინარე წელის I კვარტლის ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენდა 6228.4 ლარს, გეგმა 7054.40 ლარს. წარმოადგინა ბიუჯეტის შედარება შემოსულობების და გადასახდელების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან ერთად. ისაუბრა გრანტებზე და ტრანსფერებზე. მესტიის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გრანტებზე და გრანტის მიზნობრიობაზე. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 2 637 ათასი ლარი, მათ შორის განკარგულებების ნაშთი -1 055.3 ათასი ლარი და საბიუჯეტო ნაშთი 1 581.7 ათასი ლარი, რომელიც განთავსდა კომერციულ ბანკში. მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველ კვარტალში ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 7 169.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 333.6 ათასი ლარი) 86 პროცენტია. ისაუბრა საბიუჯეტოზე მყოფი ორგანიზაციების გეგმა-შესრულებებზე

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა--კომისიამ განიხილა საკითხი, დადებითად შეფასდა და მადლობა გადაუხადა ჩატარებული სამუშაოებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინდა, მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ”.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № - გ-135. 135251502 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ნ. შუკვანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკის ანგარიში 2024 წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ”.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციის ბიუჯეტის გეგმა განისაზღვრა 145 600 ლარით. ისაუბრა თანხის ათვისება სად რა მუხლში განხორციელდა. ისაუბრა ჩატარებულ ღონისძიებებზე: 14 აპრილს დედაენის დღესთან დაკავშირებით, მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრთან არსებული ლეო ფილფანის სახელობის ფოლკლორულ ცენტრში, ა(ა) იპ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება „ო, ენავ ჩემო„. სადაც მონაწილეობდა საჯარო სკოლების მოსწავლეები. 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთასორისო დღესთან დაკავშირებით ა(ა) იპ მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის ორგანიზებით მოეწყო მნიშვნელოვანი ღონისძიება. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მივულოცეთ „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის„ ბენეფიციარებს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ლენჯერის #1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ისინი აქტიურად ჩაერთნენ ღონისძიების მსვლელობაში. ღონისძიების ფარგლებში სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. გაიმართა ალაფურშეტი და საზეიმო ვითარებაში დაიჭრა ტორტი. ღონისძიებისთვის გათვალისწინებული იყო 3000 ლარი, დაიხარჯა 2661,30 ლარი. ეს იყო დღე როცა ბავშვები გულთბილ და სიყვარულით სავსე ემოციებს უზიარებდნენ ერთმანეთს. მათ ეს დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ იყო უაღრესად ტოლერანტული. 12 ოქტომბერს ა(ა) იპ მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა ვიქტორინა „მე მიყვარს ლიტერატურა„.ვიქტორინაში მონაწილეობა მიიღო ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველებმა. მსგავსი ღონისძიებები უფრო გააღრმავებს მოსწავლე ახალგაზრდობის მჭიდრო კავშირს წიგნიერებასთან, რაც ჩვენი ბიბლიოთეკის უპირობო ინტერესს შეადგენს. ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 1000 ლარი და დაიხარჯა 1500 ლარი.(ფასიანი საჩუქრები და საკანცელარიო ნივთები)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა-კომისიამ განიხილა ანგარიში. განხორციელებული ღონისძიებები ორგანიზაციის მიერ მოიწონა, აუცილებელია მომავალში დაიგეგმოს ტექნოლოგიური სიახლეები, რაც მკითხველს გამარტივებული და ინოვაციური ტექნოლოგიებით მოემსახურება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკის ანგარიში 2024 წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № - გ-135. 135251503თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. მიქიანმა ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა'' ქვეპუნქტით (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული

სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 აპრილის №7დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე”.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა სამართლებრივი შენიშვნა სამ დადგენილებაზე: ,, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 აპრილის №7 დადგენილების რომელიც ეხება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“

,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №9 დადგენილებაში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“

,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №32 დადგენილება. „მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

სამართლებრივი შენიშვნები გათვალისწინებული იქნა და წარმოადგინა განახლებული, შესწორებული პროექტები დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა’’ ქვეპუნქტით (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული

სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 აპრილის №7დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 8 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. მიქიანმა ,,საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის,

გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე”.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 9 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. გულედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ”.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის მომართვა, სადაც ითხოვს სარგებლობის უფლებით, შენობა-ნაგებობის კულტურული დაწესებულებებისთვის გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ”.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № -10 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ხორგუანმა ,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ”.
მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს კანონში ცვლილებიდან გამომდინარე შეიცვალა და ძალა დაკარგულად გამოცხადდეს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვალის №15 დადგენილება. ,,**მესტიის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ**„. შეიცვალა სახელწოდება და უფლება მოვალეობები. წარმოადგინა დებულება შეცვლილი ფორმით.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ჯაფარიძემ--შესთავაზა საბჭოს შემადგელობა განისაზღვროს არანაკლები 7 და არაუმეტესი-15 წევრით.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ".

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 11 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი